ოქმი:ო31. 3123242001
თარიღი:30/08/2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N12

ქ. ლანჩხუთი

24. 08. 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ეკა მეგრელიშვილი.

მოწვეული სტუმრები: მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** დარბაზში მყოფთ მიმართა თხოვნით, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ შოვში მომხდარი ტრაგედიისას დაღუპულთა ხსოვნისადმი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

3. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

5.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სს „სილქნეტისთვის“ (ს/კ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

6. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების მიღებით ძალადაკარგულად ცხადდება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილება. პროექტის წარმოდგენილი სახით მიღება, საშუალებას იძლევა წახალისდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო, კერძო და სახელოვნებო სკოლების წარმატებული პედაგოგები. ასევე, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ინდივიდუალური შემსრულებლები, ხელოვნების წარმომადგენლობები, შემოქმედებითი დასების ხელმძღვანელი პირები, სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული ახალგაზრდები, გრანპრის, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი ლაურეატები. აღნიშნული პროექტის ახალი ვერსია ითვალისწინებს და აზუსტებს, როგორც ჯილდოს მიღების, ასევე, პროექტების თანადაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს. პროექტის

მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, რაც უკვე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N16 (24.08.2023).

დღის წესრიგის მეორე საკითხი:„საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველია ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი''-ს 209^3 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ცვლილებები, რომელიც ამოქმედდა 2023 წლის 1-ლი აპრილიდან. ნორმატიული აქტით მტკიცდება საჯარიმო ქვითრის - მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის ფორმაც, რაც ენობრივი სისწორის თვალსაზრისით შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ ელექტრონული შტამპი განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N17 (24.08.2023).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი (N 08-302319430), რომლის თანახმად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესასრულებლად შეიძინა სპეციალური მოწყობილობები, ხოლო აღნიშნული სამუშაოების შედეგად მომზადებული დოკუმენტაცია უნდა დამოწმდეს შესაბამისი ბეჭდით.
იქიდან გამომდინარე, რომ ამ დრომდე მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა შესაბამისი მოწყობილობა საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესასრულებლად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულებით, სამსახურის ფუნქციათა შორის არ იყო გათვალისწინებული, როგორც საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულება, ასევე, სამსახურს

არ ჰქონდა შესაბამისი ბეჭედი სამუშაოების შედეგად მომზადებული დოკუმენტაციის დასამოწმებლად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების ზრდას, რაც უკვე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N18 (24.08.2023).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წელს, წერილობით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ (ს/კ 433654397) დირექტორმა ეკატერინე ჩუბინაშვილმა, რომელმაც შპს-ს წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მისი არსებობის ვადით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების (განკარგულების პროექტით დასამტკიცებულ დანართ N1-ში მითითებული მოძრავის ქონება) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N60 (24.08.2023).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სს „სილქნეტისთვის“ (ს/კ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს 2023 წლის 3 ივლისს N 531/14-6 წერილით მომართა (კანცელარიის N 10/302318555-30 – 04.07.2023 წ) სს „სილქნეტი“-ს (ს/კ 204566978) საოპერაციო მიმართულების დირექტორმა ვერა დუდუჩავამ, რომელშიც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე განთავსებულ 70 გარე განათების კონსტრუქციიდან (საყრდენი ბოძი) 45 ბოძის გადაცემა იჯარით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის თანდართული სქემატური ნახაზის მიხედვით.

აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, სს „სილქნეტს“ გადაეცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.

ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე განთავსებულ 70 გარე განათების კონსტრუქციიდან (საყრდენი ბოძი) 45 გარე განათების ბოძის ნაწილი - წერტილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის თანდართული სქემატური ნახაზის მიხედვით და წლიურ საიჯარო ფასის ოდენობად განისაზღვროს თითოეული ბოძის ნაწილ-წერტილისათვის 5 ლარი, ხოლო ხელშეკრულების ვადად 5 წელი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N61 (24.08.2023).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრის **ჯუმბერ ბლაგიძის** განცხადებით, მიმდინარე წლის მარტის თვეში მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოითქვა დაპირება, რომ იმსჯელებდნენ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განსახორციელებელი ხარჯის გაზრდის თაობაზე, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საჭირო თანხა არის, ამ მიმართულებით აქამდე არანაირი ღონისძიება არ გატარებულა. საკრებულოს წევრი ასევე შეეხო სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მელიორაციის საკითხს და დაინტერესდა, როდის დაიწყება ამ კუთხით შესაბამისი სამუშაოები. ამასთან დაკავშირებით საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, **ია მოქიამ** განამარტა, რომ ტენდერი დასრულებულია და მალე დაიწყება შესაბამისი სამუშაოები. ამის შემდეგ საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ სოფელ ხიდმაღალას მკვიდრს, ქეთევან არსანგელოვას, რომელიც მარტოხელა დედაა და ჰყავს ჩვილი ბავშვი, ესაჭიროება გარკვეული დახმარების გაწევა სოციალური კუთხით, რადგან მოუხსნეს სოციალური დახმარება. გარდა ამისა, მისი სახლი არის ავარიულ მდგომარეობაში. საკრებულოს წევრმა ასევე, უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე წლის იანვრის თვიდან ფრაქციის ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ მხრიდან და ზოგადად, საკრებულოდან მერიაში შემოსულ არც ერთ განცხადებაზე არ არის დროული და სათანადო პასუხი გაცემული.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში აუცილებლად დასამატებელია ნაგვის ურნები.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაეთანხმა საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და აღნიშნა, რომ ეს პრობლემა ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მწვავედ დგას და დროულად მოსაგვარებელია. საკითხის შესახებ ცნობილია მუნიციპალიტეტის მერისთვისაც, რომელმაც ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ურნების შეძენამდე, სექტემბრის თვიდან სოფლებში გარკვეული განრიგით ივლის ნაგავმზიდი მანქანა. ის ასევე გამოეხმაურა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განსახორციელებელი ხარჯის თემას და უკმაყოფილება გამოთქვა, რომ მათი არჩევიდან ორი წლის შემდეგ ამ საკითხზე არ უნდა უხდებოდეთ კვლავ საუბარი. თავის დროზე მუნიციპალიტეტის მერის მხრიდან ითქვა, რომ თანხა არის და მოძიება არ დასჭირდებათ, მაგრამ საკრებულოს წევრის განცხადებით, საკრებულომ უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რათა მოხდეს თანხის საჭიროებისამებრ განკარგვა. ამის შემდეგ, საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ ფოცხვერეთის უბანი, რომელსაც ძალიან რთული გეოლოგიური მდებარეობა აქვს, ხუთი წლის წინ მოწყდა დანარჩენ ადმინისტრაციულ ერთეულს. მაშინ გაკეთდა ალტერნატიული ბეტონის გზა, რომელიც ორი წლის წინ წაიღო მეწყერმა. დღის წესრიგში დადგა პირველადი გზის აღდგენა, რაც ძალიან დიდი თანხებთანაა დაკავშირებული. როგორც მისთვისაა ცნობილი, მუნიციპალიტეტის მერი მუშაობს ამ მიმართულებით. სოფლის მოსახლეობას აინტერესებს, როგორია სიტუაცია ამ ეტაპისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხდება სოციალურად დაუცველთა დასაქმება, ძალიან კარგია, მაგრამ მას, როგორც მოქალაქეს, დისკომფორტს უქმნის და არ მიაჩნია მიზანშეწონილად, რომ თითქმის ყოველდღე ხდება ამ ადამიანების სოციალურ ქსელში აფიშირება.

საკრებულოს ფრაქციის ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე **გოჩა ჯანაშია** დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობაა საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურია“-ში როგორც იურიდიული, ასევე, სპორტული კუთხით. გარდა ამისა, მომავალ

წელს კლუბს უსრულდება დაარსებიდან 100 წლის იუბილე. აქედან გამომდინარე, ხომ არ იგეგმება სტადიონთან მისასვლელი გზის მოწესრიგება, ან თვითონ სტადიონის რეკონსტრუქცია.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** თავის მხრივ მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოუცხადა საკრებულოს წევრებს სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯის გაზრდასთან დაკავშირებით და იმედი გამთქვა, რომ აღნიშნული საკითხი დროულად მოგვარდება.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** საფეხბურთო კლუბთან დაკავშირებით განმარტა, რომ ხელფასთან მიმართებაში ამ ეტაპისთვის დავალიანება არ არის და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ამ მხრივ ფეხბურთელებს არ შეექმნათ პრობლემა. გარდა ამისა, არის ორი სხვადასხვა პიროვნება, რომლებმაც გამოთქვეს გარკვეული ინტერესი გუნდთან დაკავშირებით. რაც შეეხება სტადიონს, ამ მხრივ მართლაც ცუდი სიტუაციაა, მაგრამ იმედი გამოთქვა, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება. ასევე, კატასტროფულ მდგომარეობაშია გზაც, რის შესახებაც მუნიციპალიტეტის მერთან ერთად ყველა დონეზე მიაწოდეს ინფორმაცია და სავარაუდოდ, კილომეტრ ნახევრამდე გზის მონაკვეთზე დაიგება ასფალტის საფარი.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ მისასალმებელია, თუკი ვინმე გუნდს გვერდით დაუდგება, მაგრამ ვინც არ უნდა მოვიდეს, რეალური შედეგი არ ჩანს და მაინც ერთი და იმავე წრეზე ტრიალი გამოდის. მას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საფეხბურთო კლუბი თავისი ვალდებულებებით და ინფრასტრუქტურით ნებისმიერ სპონსორს უნდა გადაეცეს სიმბოლურ ფასად, მაგრამ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საბანკო გარანტიები. ამასთან, შესაძლებელია, რომ ხელშეკრულებაში პირობები მოექცეს გარკვეულ ჩარჩოებში. მთავარია, რომ სპონსორმა მიხედოს კლუბს და მიაღწიოს გარკვეულ წარმატებას.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24 აგვისტო **2023** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 58	
2	ემზარ თევდორაძე	11 55	
3	ვერიკო კვირკველია	11 02	
4	გიორგი ჩახვაძე	11 55.	
5	გიორგი ხელაძე		11.55
6	ალექსანდრე მახათაძე		
7	ზაზა წულაძე	11 55.	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55 .	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 55	
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა	11 45	
12	მაკა მშვიდობაძე	10 02	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 02	
14	კარლო წილოსანი		11 02
15	ლოლიტა ურუშაძე		
16	ნინო მშვიდობაძე	11:58	
17	გოგი მორჩილაძე		
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-53	
19	გიორგი გოგუაძე	11 40	
20	გოჩა ჯანაშია	11 55	
21	ელისო ჭიჭინაძე	11 50	
22	რევაზ კვერენჩხილაძე		
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე	11	[signature]
25	ირმა მგელაძე		
26	გივი ცინცაძე	11 55	[signature]
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11 55	[signature]